

საიდ. №69640/03

IR 1125840

გ ა დ ა წ ე კ ე ტ ი ლ ე ბ ა №08-03/14

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ე. ე. (თავმჯდომარე), ი. გიქორაშვილი, დ. ჭიჭინაძე, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა კომპანიის „ჰონდა მოტორ კო., ლტდ“-ს (Honda Motor Co., Ltd) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №08-03/14), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 30 ოქტომბრის საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ №2213/03 ბრძანების ბათილად ცნობა და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „CITY“ (საიდ. №69640/03 IR 1125840) დაცვის მინიჭება საქართველოში მე-12 კლასის შემდეგი საქონლის ჩამონათვალის მიმართ: „ავტომობილები“ (automobiles) (მე-12 კლასი).

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 30 ოქტომბრის №2213/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი "CITY" დაცვას არ ექვემდებარება, ვინაიდან იგი მსგავსია მადრიდის პროტოკოლით კომპანიის "FIAT AUTO S.P.A." (მისამართი: Corso Giovanni Agnelli 200, 10135 Torino), სახელზე მე-12 კლასის მსგავსი საქონლისათვის რეგისტრირებული და საქართველოზე გავრცელებული ნიშნისა „CITY MATIC“ (რეგისტრაციის №3292, თარიღი: 24-09-1996). ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ დაპირისპირებული ნიშანი შედგება ორი სიტყვისაგან „CITY“ და „MATIC“, ხოლო განცხადებული ნიშანი მხოლოდ ერთისგან „CITY“, ორივე მათგანი შესრულებულია ლათინური ანბანით და აქვთ მსგავსი უღერადობა. ვიზუალური და ფონეტიკური მსგავსება ქმნის ნიშნებს შორის აღრევისა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას, რის გამოც, განცხადებულ ნიშანს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე.

აპელანტი კომპანია „ჰონდა მოტორ კო., ლტდ“ არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, განცხადებულ და დაპირისპირებულ ნიშნებს შორის არსებობს საკმარისი დონის განსხვავება იმისათვის, რომ არ მოხდეს მომხმარებლის მიერ ამ სასაქონლო ნიშნებით მონიშნული ერთგვაროვანი საქონლის მწარმოებელი კომპანიების ერთმანეთში აღრევა. აპელანტის პოზიციით, განცხადებული და დაპირისპირებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშნები განსხვავდება ერთმანეთისაგან როგორც ვიზუალური, ასევე ფონეტიკური ნიშნით. კერძოდ განცხადებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშანი ერთსიტყვიანია და აქვს აზრობრივი დატვირთვა, კერძოდ მისი ქართული შესატყვისია - „ქალაქი“, „დიდი ქალაქი“. დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი შედგება ორი ნაწილისაგან: „CITY“ და „MATIC“. მისი პირველი ნაწილი განცხადებული სასაქონლო ნიშნის იდენტურია, როგორც ვიზუალურად ასევე მნიშვნელობითაც. რაც შეეხება მეორე სიტყვას „MATIC“ იგი ფანტაზიურია და აქედან გამომდინარე

დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშანს ფანტაზიურ ხასიათს სძენს. ეს კი განცხადებულ და დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშნებს შორის განაპირობებს იმ დონის განსხვავებას, რომ არ მოხდეს მომხმარებლის მხრიდან ამ ნიშნებით მონიშნული საქონლის მწარმოებელი კომპანიების ერთმანეთში აღრევა. აპელანტის მითითებით, იგი თანახმაა შეზღუდოს მე-12 კლასის საქონლის ჩამონათვალი შემდეგნაირად: კლასი 12 - ავტომობილები. ამასთან, სააპელაციო საჩივარს თან ერთვის დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელის კომპანის „ფიატ აუტო ს.პ.ა.“-ს თანხმობის წერილი საერთაშორისო სასაქონლო ნიშნის “CITY” IR1125840 აპელანტის მიერ საქართველოში გამოყენებასა და დაცვაზე. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 30 ოქტომბრის საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ №2213/03 ბრძანების ბათილად ცნობას და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „CITY“ (საიდ. №69640/03 IR 1125840) დაცვის მინიჭებას საქართველოში მე-12 კლასის შემდეგი საქონლის ჩამონათვალის მიმართ: „ავტომობილები“ (automobiles).

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო აღრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა“.

კოლეგია ვერ გაიზიარებს აპელანტის პოზიციას და მიიჩნია, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი „CITY“ (საიდ. №69640/03 IR 1125840) და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი „CITY MATIC“ (რეგ. №3292) წარმოადგენს აღრევამდე მსგავს სასაქონლო ნიშნებს. განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები მსგავსია, როგორც ვიზუალური, ისე ფონეტიკური და

სემანტიკური თვალსაზრისით. განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები მსგავსია ვიზუალურად, რადგან როგორც განცხადებული სასაქონლო ნიშანი „CITY“, ისე დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი „CITY MATIC“ შესრულებულია სტანდარტული ლათინური ასომთავრული ასოებით. განცხადებული სასაქონლო ნიშანი წარმოადგენს ერთ სიტყვიან სასაქონლო ნიშანს, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი ორ სიტყვიანი სასაქონლო ნიშანია, რომლის პირველ სიტყვას „CITY“-ს სრულად შეიცავს განცხადებული სასაქონლო ნიშანი. მიუხედავად, იმისა, რომ დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი ორ სიტყვიან ნიშანს წარმოადგენს, განმასხვავებლობის ძირითადი დატვირთვა მოდის პირველ სიტყვაზე „CITY“, რადგან ორ სიტყვიანი სასაქონლო ნიშნების აღქმის თვალსაზრისით, მომხმარებელი პირველ სიტყვას აღიქვამს და მისთვის პირველი სიტყვაა მეტად დასამახსოვრებელი. დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის პირველი სიტყვა „CITY“ და განცხადებული სასაქონლო ნიშანი „CITY“ იდენტურ სიტყვიერ აღნიშვნებს წარმოადგენს. განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები მსგავსია ფონეტიკურად, რადგან განცხადებული სასაქონლო ნიშანი ქართველი მომხმარებლის მიერ გამოითქმის, როგორც „სითი“, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი კი, როგორც „სითი მათიკ“. განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები მგავსია სემანტიკურად, რადგან როგორც განცხადებული ისე დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის პირველი სიტყვა „CITY“ ქართულად ნიშნავს „დიდ ქალაქს“. მართალია, დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშანში მეორე სიტყვას „MATIC“ არ აქვს შინაარსობრივი დატვირთვა და ფანტაზიურ სიტყვას წარმოადგენს, მაგრამ სემანტიკურად დატვირთულია დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის პირველი სიტყვა და სწორედ მას ენიჭება ძირითადი შინაარსობრივი დატვირთვა. რაც კიდევ უფრო მეტად ზრდის სასაქონლო ნიშნების აღრევისა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას. მართალია, აპელანტმა შეზღუდა მე-12 კლასის საქონლის ჩამონათვალი, კერძოდ იგი ითხოვს განცხადებული სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებას ავტომობილებისათვის, მაგრამ მიუხედავად ამ შეზღუდვისა მაინც მსგავსია განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის საქონლის ჩამონათვალი, რადგან დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი

რეგისტრირებულია მე-12 კლასის ისეთი საქონლის ჩამონათვალის მიმართ, რომელიც დაკავშირებულია სატრანსპორტო საშუალებებთან და მათ ნაწილებთან. ამასთან, მხარემ მართალია წარმოადგინა დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელი კომპანიის მიერ გაცემული თანხმობის წერილი განცხადებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებასა და გამოყენებაზე, მაგრამ იმდენად მსგავსია განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები ვიზუალური, ფონეტიკური და სემანტიკური თვალსაზრისით, რომ აღნიშნული თანხმობის წერილი მხედველობაში ვერ იქნება მიღებული.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებს და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „CITY“ (საიდ. №69640/03 IR 1125840) დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებულ საფუძველს.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ე ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „ჰონდა მოტორ კო., ლტდ“-ს (Honda Motor Co., Ltd) სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. ძალაში დარჩეს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 30 ოქტომბრის №2213/03 ბრძანება საერთაშორისო სასაქონლო

ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ.

3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:

ქ. ქ.

წევრები:

ი. გიქორაშვილი

დ. ჭიჭინაძე